იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სილაბუსი

2011-2012 სასწავლო წელი

**აკულტეტი:** პედაგოგიური

**კათედრა:** პედაგოგიკა მეთოდიკების და ფსიქოლოგიის გაერთიანებული

**სასწავლო კურსის სახელწოდება:** **დიდაქტიკა- სკოლათმცოდნეობა**

**სასწავლო კურსის კოდი:** – P. 2. P. 9

**კრედიტების რაოდენობა:** –5 კრედიტი.

**სასწავლო კურსის სტატუსი:** სავალდებულო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

**ასოცირებული პროფესორი:** დავით მახაშვილი, ტელეფონი: 27-37-51 (სამსახური) 599-10-84-50 (მობილური); ელ. ფოსტა: davitima@rambler .ru

**ასისტენტ-პროფესორი:** გივი ეჟიშვილი, ტელეფონი: 599-93-52-99, ელ.ფ:ოსტა:givimax@rambler.ru

**სალექციო კურსის აღწერა-** კურსის ფაგლებში სტუდენტები შეითვისებენ ყველა იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ დასჭირდებათ პედაგოგიური საქმიანობისას, აგრეთვე სკოლის ადმინისტრირების შემთხვევაში. სალექციო კურსში განხილული იქნება შემდეგი საკითხები: დიდაქტიკის ცნებები, სწავლების პრინციპები, განათლებისა და სწავლების შინაარსი, სწავლების მეთოდები, ფორმები, ცოდნის შემოწმება-შეფასების სისტემა, სკოლის ადმინისტრირებასთნ და მართვასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. სემინარები, დისკუსიები და დებატები სტუდენტებს შეუქმნის მეტ მოტივაციას საგნის უკეთ დაუფლებაში.

კურსის ხანგრძლივობა ერთი აკადემიური სემესტრია (15 კვირა). კვირაში ჩატარდება 1 ლექცია და 1 სემინარი (30 საათი სააუდიტორიო, 95 საათი დამოუკიდებელი მუშაობისათვისაა განკუთვნილი. სულ 125 საათი.

**სალექციო კურსის მიზანი და ამოცანებია:**

- მისცეს მაგისტრს ინფორმაცია დიდაქტიკის ანუ განათლების და სწავლების თეორიის შესახებ:
- დიდაქტიკის ძირითადი ცნებების, სწავლების პრინციპების გაცნობა-გამოყენების შესახებ;
- სწავლების მეთოდების შესახებ;
- სკოლის ორგანიზაციისა და მისი ამოცანების შესახებ;
- სკოლის მენეჯმენტის ხელოვნების შესახებ.

**სალექციო კურსზე დაშვების წინა პირობა:** არა აქვს

**სალექციო კურსის შედეგი:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | იცნობს განათლების სისტე-მის სტრუქტურას და მიზნებს; აცნობიერებს ეროვნული საგანმანათლებ-ლო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; | მაგისტრს გააჩნია სისტემური ცოდნა: ძველი და ახალი განათლების სისტემებისა და საგანმანათლებლო ტენ-დენციების შესახებ; სწავლების ტრადი-ციული და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ; სასკოლო საქმიანობის დაგეგმვის, |

| | | |
|---|---|---|
| | აცნობიერებს სასწავლო პრო-ცესის კომპლექსურობას და მოსწავლეთა კონტინგენტის მრავალფეროვნებას; | მართვის, დოკუმენტაციის წარმოების შესახებ; საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის შესახებ; იცის სწავლისა და სწავლების ახალი თეორიები. იცნობს მასწავლებლის პორფესიულ სტანდარ-ტსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ შემოქმედებითი აზროვნებისა და ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | აქვს სწავლების საფეხურის შესაბამისი: საქმიანობის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების უნარ-ჩვევები; სწავლების (სწავლის) მიზნების, შინაარსის, მეთო-დების და თავად სასწავლო პროცესის პროექტირების უნარი. სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდების და-ნერგვის უნარი; კრიტიკული აზროვნების უნარ- ჩვევები. |
| კომუნიკაციის უნარი | ექნებათ ეფექტური კომუნიკაციის უნარი | შეუძლია კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობა. იგი ერთნაირი წარმატებით მუშაობს გუნდში როგორც ლიდერი და რიგითი წევრი. კოლეგებთან შეუძლია აქტიური კომუნიკაცია. იგი მსჯელობს დარგის სიახლეებზე დასაბუთებულ და გასაგებ ენაზე. ეძებს კოლეგებთან ურთიერთობისას წამოჭრილი შესაძლო პრობლემების გადაწყვეტის ახალ გზებს. |
| სწავლის უნარი | შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება და სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. | შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარებისა განვითარება ახალი სიტუა-ციებისათვის. ეფექტურად ახდენს შესრუ-ლებული სამუშაოს შეფასებასა და თვით-შეფასებას და მუდმივად ზრუნავს საკუთარი პროფესიონალიზმის განვითარებაზე. |
| დასკვნის უნარი | აქვს პრობლემის ადექვატური გადაწყვეტის უნარი | შეუძლია სამუშაო პროცესში წამოჭრილი საგანმანათლებლო პრობლემის ანალიზი და შეფასება, მისი გადაწყვეტის ეფექტური სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. ამავე დროს, გააჩნია განათლების სისტემაში არსებული პრობლემების გააზრებისა და ადექვატური ქმედებების უნარი. |
| ღირებულებები | აქვს არსებული ღირებულებების განვითარების უნარი | დაუფლებულია განათლების სფეროს ეთიკურ ნორმებსა და შესაბამისად მათი ახალ გარემოში მორგებისა და ადაპტაციის უნარებს. რასაც წარმატებით გამოიყენებს როგორც კოლეგებთან ურთიერთობაში, ასევე თავის პროფესიულ საქმიანობასა და სხვა აქტივობებში. |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები და პრეზენტაცია

ძირითადი ლიტერატურა:


1. მალაზონია, შ. (2001). *პედაგოგიკა.* თბილისი. ქრონოგრაფი.
2. არახამია,მ. ( 2006) სკოლათმცოდნეობა, ქუთაისი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.


დამხმარე ლიტერატურა:


1. საქართველოს კანონი, (2004). „ *ზოგადი განათლების შესახებ,*“ თბილისი.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008). *სასწავლო და პროფესიული გარემო,* თბილისი.
3. . ბასილაძე, ი., და ძოწენიძე, ქ. (2008). *მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება,* ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ბასილაძე, ი., ჭოხონელიძე,, ნ., კოსტავა, ნ.(2005). *სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური-ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება,ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
5. საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტრო,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, (2009). *„რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას“, თბილისი.*
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. (2008). *სწავლება და შეფასება.* , თბილისი


ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი შეფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით.. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი საშინაო დავალებებით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდეს შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი  შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით. აღნიშნული კომპონენტი  შეფასდეს პრეზენტაციაზე მოხსენებით.

პრეზენტაციით  შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგეს სტუდენტთა პრეზენტაციების  ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან. სასურველია, რომ შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევდეს პრეზენტაციის თემას. შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები ცხადდება არა უგვიანეს ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა  ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, ხოლო შედეგები ცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები  გამოცხადებისთანავე ფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე  გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და

შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

**შეფასების სისტემა:** ასქულიანი

| ქულები | შეფასება | შეფასება (ECTS) |
|---|---|---|
| 91-100 | ფრიადი | **A** |
| 81-90 | ძალიან კარგი | **B** |
| 71-80 | კარგი | **C** |
| 61-70 | საშუალო | **D** |
| 51-60 | დამაკმაყოფილებელი | **E** |
| 41-50 | არადამაკმაყოფილებელი, გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლებით | **FX** |
| 0-40 | სრულიად არადამაკმაყოფილებელია და სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს საგანი | **F** |

**სალექციო კურსის სტრუქტურა:**

| ლექციური მუშაობა სემესტრის მანძილზე | | | |
|---|---|---|---|
| საათების რაოდენობა | თემატიკა | სწავლების მეთოდები | ლიტერატუ № |
| | | | |
| 2 | დიდაქტიკის ცნებები. სწავლების პროცესის არსი | ლექცია | № 1 გვ. 77-83 გვ.38-64 |
| 2 | სწავლების პრინციპები | ლექცია | №1 გვ. 42-66 |
| 2 | განათლებისა და სწავლების შინაარსი | ლექცია | №1 გვ. 103-116 |
| 2 | სწავლების მეთოდები | ლექცია დისკუსია | №1 გვ. 116-140 №6 გვ. 51-90 |
| 2 | სწავლების ორგანიზაციის ფორმები | ლექცია | №1 გვ. 168-195 №2 გვ. 64-73 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ცოდნის შემოწმება-შეფასება | ლექცია | №1<br>გვ. 205-214<br>№2<br>გვ. 73-118 |
| 1 | სკოლათმცოდნეობა | ლექცია | №1<br>გვ. 352-359<br>№4<br>გვ. 3-46 |
| 2 | სკოლის მართვა და ხელმძღვანელობა | ლექცია | №1<br>გვ. 359<br>365 |

**გისურვებთ წარმატებას!**

ასოცირებული პროფესორი დავით მახაშვილი